ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 8/36

2021 წლის 29 იანვარი

ქალაქი ფოთი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკრებულოს განსაკუთრებულ უფლებამოსილებას განეკუთვნება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოების და თანამდებობის პირების საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება.

აღნიშნულიდან გამომდინარე

მუხლი 1.

ცნობად იქნეს მიღებული ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

მუხლი 2

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, აღნიშნული განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი, ქალაქი ფოთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

მუხლი 3.

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე

საკრებულოს თავმჯდომარე ბექა ვაჭარაძე

ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ(2020 წლის და 2021 წლის პირველი 6 თვე)

მოსახლეობის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვა ქალაქის ერთ-ერთი პრიორიტეტია. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების პირობებში განაგრძობს მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას.

ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის ჯანრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური (შემდგომში ჯანდაცვის სამსახური) საქმიანობს მუნიციპალიტეტის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში. ამ უფლებამოსილებათა შესასრულებლად სამსახურმა განახორციელა: 2020 წელს 25 პროგრამა, ხოლო 2021 წელს ახორციელებს 30 პროგრამას.

მოსახლეობის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მიმართულების პროგრამათა დაფინანსების ჯამური თანხა 2020 წელს იყო 2 647 100 ლარი, ხოლო 2021 წელს დაგეგმილია 3 467 700 ლარი.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურში მოქმედებს სამი სტრუქტურული ქვედანაყოფი: 1. ჯანრთელობის დაცვის განყოფილება; 2. სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილება და 3. დევნილთა განყოფილება. ისინი თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფენ პროგრამათა ეფექტურ განხორციელებას. ასევე სამსახურთან კოორდინაციით საქმიანობს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირები. ისინი მოსახლეობას უწევენ სხვადასხვა მომსახურებას თავიანთი პროფილის მიხედვით. ეს ორგანიზაციებია: ა(ა)იპ ,,თვითმმართველი ქალაქ ფოთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი''; ა(ა)იპ თვითმმართველი ქალაქის - ფოთის ბავშვთა ცენტრი; შპს ,,ფოთის სატრანსპორტო კომპანია''; ა(ა)იპ ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური მომსახურების ცენტრი''.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამები: ქალაქ ფოთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ 2020 -2021 წლებში განხორციელებული სავალდებულო ღონისძიებები მოიცავს: გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობის და კონტროლის ღონისძიებებს, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა, ანტირაბიული, მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის პროპაგანდა, მუშაობა მიზნობრივ ჯგუფებთან მოსახლეობაში პროფილაქტიკურ-საგანმანათლებლო სამუშაოების წარმოება. ტუბერკულოზის, აივ/ინფექცია შიდსის, C ჰეპატიტზე ინტეგრირებული სკრინინგის საპილოტე პროგრამის განხორციელებას. კორონავირუსით გამოწვეული ინფექციის (COVID-19) ეპიდზედამხედველობა და მოქალაქეთა გეგმიური ტესტირების წარმოება. პროგრამა 2020 წლის ბიუჯეტით განისაზღვრა 195 000 ლარით, ხოლო 2021 წელს 170 000 ლარით.

პროგრამას ახორციელებს: ა(ა)იპ ,,თვითმმართველი ქალაქ ფოთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი".

ა(ა)იპ თვითმმართველი ქალაქ ფოთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი კოორდინაციას უწევს ქალაქში არსებულ სამკურნალო პროფილაქტიკურ დაწესებულებებს მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და გადამდები და არაგადამდები დაავადებების დროული რეაგირების მიზნით. ასევე გეგმავს დაავადებათა პრევენციისათვის საჭირო ღონისძიებებს. ცენტრის მიერ ხორციელდება 4 სახელმწიფო და 1 მუნიციპალური პროგრამა.

ეპიდზედამხედველობისა და სამედიცინო–საინფორმაციო სისტემების ფუნქციონირების უზრუნველყოფის პროგრამა მოიცავს ინფექციური დაავადებების აღრიცხვა–რეგისტრაციას, სავალდებულო კერების ეპიდემიოლოგიურ კვლევას -- დაავადების გავრცელების შეზღუდვის მიზნით, შესაბამისი ეპიდ. საწინააღმდეგო და პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა–გატარებას.

ქ. ფოთში 2020 წელს დარეგისტრირდა ინფექციური დაავადებების შემდეგი შემთხვევები: წითელას 1, ყივანახველას-1, ყბაყურა 1, საკვებისმიერი ინტოქსიკაცია - 553, დაუდგენელი ეტიოლოგიის დიარეები-51, ლაიმის დაავადების-11, ლეპტოსპიროზის 2, ტუბერკულოზის-26 ახალი შემთხვევა, ცოფის რისკის ქესპოზიცია-952, COVID -- 19 – ის 3342 შემთხვევა. COVID -- 19 – ის,. პირველი ადგილობრივი შემთხვევა დაფიქსირდა 06.09.2020 წელს

2021წლის განვლილ პერიოდში (01.01—31.05.) დარეგისტრირდა ინფექციური დაავადებების შემდეგი შემთხვევები:

საკვებისმიერი ინტოქსიკაცია - 20, დაუდგენელი ეტიოლოგიის დიარეები-12, ტუბერკულოზის-7 ახალი შემთხვევა, ცოფის რისკის ქესპოზიცია- 111, COVID -- 19 –2541. შედარებითი დინამიკიდან ჩანს, რომ შეიმჩნევა დაავადებების კლების ტენდენცია გარდა COVID – 19ისა და ცოფის რისკის ექსპოზიციისა.

ბავშვთა პროფილაქტიკური აცრებით მოცვის პროცენტული მაჩვენებლები 2020 წელს შეადგენს 95-96 %-ს. 2021წლის განვლილ პერიოდში კი 39,6- 40%-ს.

23-29 აპრილს ჩატარდა იმუნიზაციის კვირეული.

იმუნოპროფილაქტიკის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სამედიცინო დაწესებულებები შეუფერხებლად მარაგდება გეგმიური ასაცრელი ვაქცინებით, სპეციფიკური და სტრატეგიული შრატებით. ყველა სამედიცინო დაწესებულებები აღჭურვილია ინდიკატორებით და ელექტრო თერმომეტრებით. გეგმიურად მიმდინარეობს მათი მონიტორინგი ცივი ჯაჭვის პრინციპის დაცვის საკიხებზე. დარღვევის ფაქტები არ ყოფილა.

ქალაქის ტერიტორია ცოფისთვის ითვლება კეთილსაიმედოდ. დაავადების მხრივ არც ადამიანებში და არც ცხოველებში ცოფის შემთხვევა არ დაფიქსირებულა. ანტირაბიულ კაბინეტში დაზარალებულთა მიმართვიანობა ყოველწლიურად იმატებს 15-20%-ით. ცოფის ექსპოზიციის ესოდენ მაღალი მაჩვენებელი, მიუთითებს მაწანწალა ძაღლების მატებაზე ქალაქის ტერიტორიაზე, რაც კვლავ რჩება პრობლემურ საკითხად.

ჰელმინთოზების პროფილაქტიკის მიზნით პერიოდულად ტარდება ქ.ფოთში არსებულ სკოლამდელ დაწესებულებებში 5-6 წლიანი ბავშვების გამოკვლევა კონტაქტურ ჭიაზე (ენტერობიუსზე) 2020 წელს გამოკვლეულია 100 ბავშვი, აქედან ინვაზირებული აღმოჩნდა 15. ყველა ინვაზირებულს და მათ კონტაქტრებულს ჩაუტარდა დეჰელმინთიზაცია. მიმდინარე წლის განვლილ პერიდში COVID – 19ის გამო შექმნის ეპიდ სიტუაციასთან დაკავშირებით სკოლამდელ დაწესებულებებში ჰელმინთოზებზე გამოკვლევები არ ჩატარებულა.

2020წლის და 2021წლის აპრილისა და მაისის თვეში ჩატარდა ანოფელოგენური წყალსატევების აღრიცხვა პასპორტიზაცია და თევზი გამბუზიის გავრცელება. სულ ანოფელოგენური წყალსატევი არის 24.

შავიზღვისპირა საკურორტო ზონაში, ტრანსმისიული დაავადებების გადამტანებთან წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამის ფარგლებში, 2020წელს

დამუშავდა ანტისექციდური პრეპარატით „სოლფაკით," კოღოს დღის სამყოფელი, (საცხოვრებელი ბინების სადარბაზოები, სარდაფები, კერძო სახლებში ფრინველთა და ცხოველთა სადგომები. სულ დამუშავდა 1 000 000 კვ.მ ფართი, დაიხარჯა 500 კგ. სოლფაკი. მიმდინარე წელს აღნიშნული ღონისძიებები ჩატარდება ივლისის თვეში.

2020 წელს სანიტარული მონიტორინგი განხორციელდა ქალაქში არსებულ სკოლამდელ დაწესებულებებში და საჯარო სკოლებში. მონიტორინგის დროს გამოვლენილი ხარვეზები მიეთითათ შესაბამის დაწესებულებების ხელმძღვანელებს.

ფოთის მუნიციპალიტეტის საზედამხედველო ტერიტორიაზე 2020 წ -ს იყო 36 სილამაზის სალონი, საქართველოს მთავრობის 2015 წ. 14 სექტემბრის #473 დადგენილების თანახმად ყველა სალონის მომსახურე პერსონალი და მეპატრონე ჩვენს მიერ ინფორმირებული იყო ტექნიკური რეგლამენტის შესახებ რომელიც გულისხმობს სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების დროს სანიტარული ნორმების დაცვას. საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების წარმოებისას ინფექციების პრევენციისა და კონტროლის კითხვარით შერჩევით შემოწმებულია 28 სილამაზის სალონი. დარღვევა გამოვლინდა 15-ში. თითეულს მიეცა ვადები დარღვევების გამოსასწორებლად, დარღვევის ხასიათის შესაბამისად.

განმეორებითი შემოწმებით აღმოჩნდა რომ ზოგიერთ სალონში გამოსწორდა სანტექნიკური მდგომარეობა. შეძენილი იქნა სამ ობიექტში იარაღების სასტერილიზაციო დანადგარი.

სისხლის გზით გადამდები დაავადებების მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სტომატოლოგიური კაბინეტების სტერილიზაციის კონტროლი.

ლაბორატორული კვლევის მეთოდების გამოყენებით ვამოწმებთ სამედიცინო იარაღების წინასასტერილიზაციო დამუშავების ხარისხს და მასალის კვლევას პათოლოგიურ ფლორაზე. ლაბორატორიული გამოკვლევები ჩატარდა 2021 წლის განვლილ პერიოდში 6 დაწესებულებაში. ერთეულ შემთხვევებში გამოვლინდა დარღვევები. სადაც მითითების შესაბამისად გატარდა პრევენციული ღონისძიებები.

ქალაქში 2020 წელს „სამეგრელოს პილოტი„ პროგრამის ფარგლებში ჩატარდა 8348 სკრინინგული კვლევა ც ჰეპატიტზე, აივ/შიდსი ინფექციის მტარებლობაზე და ტუბერკულოზზე. გამოვლინდა ც ჰეპატიტის 55, აივ ინფექცია/შიდსის 3 დადებითი შემთხვევა.

მ/წლის განვლილ პერიოდში კი ჩატარდა 1628 კვლევა, რომელთა შორის დადებითი იყო ც ჰეპატიტის 12 შემთხვევა.

ყველა შემთხვევა იქნა რეფერირებული შესაბამის კლინიკებში და ტარდება ყველა პაციენტზე თვალყურის მიდევნება.

ჯანდაცვის ცენტრის მიერ 2020 წლის და მ/წლის განვლილი პერიოდის განმავლობაში ჩატარებული კვლევით, გამოკითხვებით და სტატისტიკის ფარგლებში გათვალისწინებული მოწევის აკრძალვის შეზღუდვის და თამბაქოს პროდუქტებით ვაჭრობის მონიტორინგის ფარგლებში სულ შემოწმდა 250 ობიექტი. ძირითადად დარღვევები გამოვლინდა სატრანსპორტო საშუალებებში, სილამაზის სალონებში და სავაჭრო ობიექტებში (ეწეოდნენ და არ ჰქონდათ კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციები დაცული). სამოქმედო გეგმის მიხედვით მონიტორინგი ქალაქის მაშტაბით დღემდე მიმდინარეობს.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ გაწეული სამუშაოებისათვის მიზნობრივი ტრანსფერის თანხიდან გაცემულმა სარგომ და ხარჯვითმა ნაწილმა 2020 წლის განმავლობაში შეადგინა-134 283 ლარი, საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე (ადგილობრივი ბიუჯეტიდან) დაიხარჯა -59974 ლარი, თვითმმართველობის სარეზერვო ფონდიდან დაიხარჯა 8194 ლარი, ხოლო საკუთარი სახსრებიდან- 70891 ლარი.

2021 წლის განვლილი პერიოდის (01.01-დან 31.05.-დე) განმავლობაში ტრანსფერის თანხიდან გაცემულმა სარგომ და ხარჯვითმა ნაწილმა შეადგინა 54554 ლარი, საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე (ადგილობრივი ბიუჯეტიდან) დაიხარჯა 9482 ლარი, საკუთარი სახსრებიდან გაცემული იქნა 76177 ლარი.

2020 წლის და მ/წ განვლილი პერიოდის განმავლობაში სჯდც-ს შესყიდვების გეგმა შეადგენს - 20 651 ლარს. წლის განმავლობაში გაფორმებულია 42 შესყიდვის ხელშეკრულება.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში დასაქმებულია 17 პირი, აქედან 15-საშტატო განრიგით, ხოლო 2- ხელშეკრულებით. დასაქმებული პირებიდან 13 ქალი და 4 მამაკაცია.

ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება.

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით განისაზღვრა 618 900 ლარით, ხოლო 2021 წელს 737 100ლარით.

1. მოსახლეობის სტაციონარული მკურნალობის პროგრამის 2020 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 348 900 ლარით, 2021 წელს კი 351 100 ლარით. პროგრამა ახორციელებს პაციენტთა მკურნალობის და გამოკვლევების იმ კომპონენტის დაფინანსებას, რომელიც არ არის გათვალისწინებული ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებით. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება, როგორც სტაციონარული, ასევე ამბულატორიული მკურნალობა, სხვადასხვა სახის ქირურგიული ოპერაციები, ლაბორატორიული და თანამედროვე ტექნოლოგიების ინსტრუმენტალური გამოკვლევები, ქიმიო, რადიოთერაპია და სხვა სახის სამედიცინო სერვისები.

სოციალურად დაუცველ (70000-მდე სარეიტინგო ქულა) მოქალაქეებს და შეზღუდული შესაძლებლობების (მკვეთრად გამოხატული) მქონე პირებს მკურნალობისთვის საჭირო თანხა უფინანსდებათ 100%-მდე (ლიმიტი 1000 ლარი), ხოლო 70000-ზე მეტი სარეიტინგო ქულის მქონე და სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში დაურეგისტრირებელ მოქალაქეებს - 50%-მდე (ლიმიტი 1000 ლარი). ამასთან, სამედიცინო მომსახურების ხარჯი, რომელიც არ აღემატება 200 ლარს, მოქალაქეებს უფინანსდებათ 100 %-ით.

2020 წელს დახმარება გაეწია 648 მოქალაქეს, სულ ხარჯი - 309 400 ლარი (მათ შორის სოციალურად დაუცველ 64 მოქალაქეს 27 071 ლარით).

2021 წელს, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწია 446 ბენეფიციარს თანხით 204 900 ლარი.

2. მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის 2020 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 150 000 ლარით, მათ შორის:

ა) ერთჯერადი 70 ლარის ღირებულების მედიკამენტებით დახმარება - 90 000 ლარი;

ბ) ავთვისებიანი სიმსივნითა და ლეიკოზით დაავადებულ პირთა დახმარება მედიკამენტების შესაძენად -40 000 ლარი;

გ) განსაკუთრებული საჭიროების მქონე ავადმყოფთა დახმარება მედიკამენტების შესაძენად - 20 000 ლარი.

პროგრამა ითვალისწინებს სხვადასხვა მწვავე თუ ქრონიკული დაავადებების მქონე მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის საჭირო მედიკამენტებით უზრუნველყოფას.

ა) ერთჯერადი 70 ლარის ღირებულების მედიკამენტების შესაძენად დახმარება გაეწია 1311 მოქალაქეს თანხით 91 548 ლარი.

ბ) ავთვისებიანი სიმსივნითა და ლეიკოზით დაავადებულ პირთა დახმარება მედიკამენტების შესაძენად გაეწია 57 მოქალაქეს, თანხით 34 482 ლარი. აღნიშნული ქვეპროგრამით მოქალაქეს შეუძლია ისარგებლოს წელიწადში ორჯერ (ერთჯერადი ლიმიტი 1000 ლარი).

გ) განსაკუთრებული საჭიროების მქონე ავადმყოფთა დახმარება მედიკამენტების შესაძენად გაეწია სოციალურად დაუცველ (100 000 სარეიტინგო ქულის მქონე) 47 მოქალაქეს თანხით 7213 ლარი (ლიმიტი 150 ლარი).

სულ: 2020 წელს პროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწია 1415 მოქალაქეს -თანხით 132 900 ლარი.

აღნიშნულ პროგრამას 2021 წელს დაემატა ეპილეფსიით დაავადებულთა დახმარება ანტიკონვულსანტების შესაძენად და პროგრამის ბიუჯეტი მთლიანად განისაზღვრა 200 000 ლარით, მათ შორის:

ა) ერთჯერადი 70 ლარის ღირებულების მედიკამენტებით დახმარება დახმარება - 100 000 ლარი;

ბ) ავთვისებიანი სიმსივნითა და ლეიკოზით დაავადებულ პირთა დახმარება მედიკამენტების შესაძენად -65 000 ლარი;

გ) განსაკუთრებული საჭიროების მქონე ავადმყოფთა დახმარება მედიკამენტების შესაძენად - 20 000 ლარი.

დ) ეპილეფსიით დაავადებულთა ანტიკონვულსანტებით უზრუნველყოფა -15 000 ლარით.

2021 წელს დახმარება გაეწია 1139 მოქალაქეს, თანხით - 88 955 ლარი.

3. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის დაფინანსების პროგრამა მოიცავს 18 წლამდე ასაკის შშმ პირთა, მათ შორის აუტიზმის, გონებრივი განვითარების შეფერხების ან დაყოვნების მქონე ბავშვთა ფსიქოსომატური რეაბილიტაციის დაფინანსებას, რაც 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით განისაზღვრა 50 000 ლარით. აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებდა აუტიზმის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის კურსის დაფინანსებას არაუმეტეს 1500 ლარით, ხოლო შშმ ბავშვების რეაბილიტაციის დაფინანსებას არაუმეტეს 500 ლარით წელიწადში ერთჯერ. დახმარება გაეწია აუტიზმის მქონე 36 და 21 არასრულწლოვან შშმ პირს. სულ პროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწია 57 ბენეფიციარს, თანხით 41 700 ლარი.

2021 წელს პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 80 000 ლარით, გაიზარდა აუტიზმის მქონე ბავშვთა დაფინანსებაც 2000 ლარამდე წელიწადში ერთხელ, ხოლო შშმ ბავშვთა დაფინანსება 700 ლარამდე წელიწადში ერთხელ. დახმარება გაეწია 44 არასრულწლოვან ბენეფიციარს თანხით 55 850 ლარი.

4. ფენილკეტონურიით და ცელიაკიით დაავადებულთა (18 წლამდე ასაკის) კვებითი დანამატებით უზრუნველყოფის პროგრამას ცელიაკიით დაავადებულ პირთა კვებითი

დანამატებით უზრუნველყოფა დაემატა 2020 წლიდან. პროგრამა ითვალისწინებს ფენილკეტონურიით და ცელიაკიით დაავადებულ პირთა კვებითი დანამატებით უზრუნველყოფის მიზნით, ბენეფიციარების დაფინანსებას არაუმეტეს 1000 ლარით წელიწადში ერთჯერ. 2020 წლის ბიუჯეტით პროგრამის დაფინანსება განისაზღვრა 5 000 ლარით. დახმარება გაეწია 4 არასრულწლოვან ბენეფიციარს, გახარჯულია - 4000 ლარი.

2021 წელს პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 5000 ლარით. დახმარება გაეწია 3 არასრულწლოვან ბენეფიციარს საერთო თანხით 3000 ლარი.

5. კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე ბენეფიციართა დახმარების პროგრამა ამოქმედდა 2020 წლიდან და ბიუჯეტი განისაზღვრა 3000 ლარით. პროგრამა ითვალისწინებს კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე 0-18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი პირების დახმარებას აპარატის შეუფერხებელი ფუნქციონირების მიზნით. კერძოდ, კვების წყაროსთვის საჭირო ელემენტის შესაძენი თანხის წლიური ლიმიტი განისაზღვრა 700 (შვიდასი) ლარით, ხოლო პროცესორის და მიკროფონის შემაერთებელი სადენის შესაძენი თანხის წლიური ლიმიტი - 300 (სამასი) ლარით. 2020 წელს დახმარება გაეწია 1 არასრულწლოვან ბენეფიციარს თანხით 700 (შვიდასი) ლარი.

2021 წელს პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 4000 ლარით, გაიზარდა ასაკობრივი ზღვარი და ითვალისწინებს კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე 0-21 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი პირების დახმარებას აპარატის შეუფერხებელი ფუნქციონირების მიზნით.

6. დაწყებითი კლასის მოსწავლეთა პროფილაქტიკური გამოკვლევის პროგრამა ამოქმედდა 2020 წლიდან. პროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო და კერძო სკოლის დაწყებითი კლასის მოსწავლეების თვალის პათოლოგიების და სქოლიოზის გამოვლენას და პრევენციას. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 7000 ლარით. სს ევექსის კლინიკებთან გაფორმდა ხელშეკრულება (SPA190006333 ტენდერის საფუძველზე) 6776.74 ლარზე. ახალი კორონავირუსით (COVID-19) გამოწვეული პანდემიის გამო, აღნიშნული პროგრამა 2020 წელს ვერ განხორციელდა.

2021 წელს პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 7000 ლარით.

პროგრამას ახორციელებს სს ,,ლაზიკა მედი" ტენდერის საფუძველზე ხელშეკრულების თანხა განისაზღვრა 5400 ლარით.

7. სასმელი, სარეკრიაციო და ჩამდინარე წყლების სანიტარულ - ბაქტერიოლოგიური და სანიტარულ-ქიმიური გამოკვლევის პროგრამის მიზანია მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სასმელი, სარეკრიაციო და საბანაო წყლის ხარისხის სისტემატიური ლაბორატორიული კვლევა, ინფექციური დაავადებებისა და ეპიდაფეთქებების თავიდან აცილებლის მიზნით. 2020 წელს ბიუჯეტით გამოყოფილი იყო 40.0 ათ.ლარი, გახარჯულია 33 898 ლარი.

2021 წელს პროგრამის ბიუჯეტით გამოყოფილია 40.0 ათ ლარი, რაც ხელშეკრულებაში განისაზღვრა 33 898 ლარით.

პროგრამას ახორციელებს შპს «ლაბორატორიული კვლევის ცენტრი", რომელიც აკრედიტირებულია საერთაშორისო ისო/იეკ 17027:2017/2018 სტანდარტით და რეგისტრირებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სავაჭრო-სამრეწველო პალატის რეესტრში.

აღნიშნული ორგანიზაციის მიერ 2020 წლის განმავლობაში (SPA190005757 ტენდერის საუძველზე) ქალაქის 26 სხვადასხვა საკონტროლო წერტილიდან მიკრობიოლოგიურ და ქიმიურ მაჩვენებლებზე კვლევის მიზნით, აღებულ იქნა სასმელი წყლის 312 სინჯი.

გამოვლინდა 30 დარღვევა - ნაშთი ქლორის შემცველობა არ შეესაბამებოდა «სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტით» გათვალისწინებულ მოთხოვნებს. სხვა სახის დარღვევები არ დაფიქსირებულა.

რაც შეეხება ორგანიზაციის მიერ 2021 წლის განმავლობაში (NAT 210000735 ტენდერის საუძველზე) ქალაქის 26 სხვადასხვა საკონტროლო წერტილიდან მიკრობიოლოგიურ და ქიმიურ მაჩვენებლებზე კვლევის მიზნით, აღებულ იქნა სასმელი წყლის 104 სინჯი.

8. მოსახლეობაში ბავშვთა კომპლექსური სამედიცინო გასინჯვები და ლაბორატორიული გამოკვლევები, ბიუჯეტიდან გამოიყო 50.0ათ ლარი. სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით გამოცხადებული ტენდერის NAT210009588 შედეგის საფუძველზე 2021 წლის 17 ივნისს ხელშეკრულება გაფორმდა სს ევექსის ჰოსპიტლებთან საერთო ღირებულებით 39128,80 ლარი.

9, ონკოლოგიურ დაავადებათა გამოკვლევებისა და პრევენციის პროგრამისათვის 2020 ბიუჯეტით გამოიყო 15.0 ათ ლარი. სს ევექსის კლინიკებთან გაფორმდა ხელშეკრულება (SPA190006334 ტენდერი საფუძველზე)განისაზღვრა 13214,82 ლარით. ახალი კორონავირუსით (COVID-19) გამოწვეული პანდემიის გამო, აღნიშნული პროგრამა 2020 წელს ვერ განხორციელდა.

სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის განყოფილება

მოგახსენებთ, რომ მოსახლეობის მხარდაჭერა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სფეროში კვლავ რჩება ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებად. ქალაქ ფოთის სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილება არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. სოციალური დაცვის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია სოციალური დახმარება, როგორც ფულადი, ასევე სხვადასხვა სოციალური

შეღავათების დაწესების გზით, რაც გაუმჯობესებს შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ და მატერიალურ მდგომარეობას.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახური თავის საქმიანობას ანხორციელებს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების საფუძველზე.

2020 წელს სოციალური უზრუნველყოფის სხვადასხვა პროგრამების განსახორციელებლად ადგილობრივ ბიუჯეტში გამოყოფილი იყო **1 833.2 ათ ლარი** მათ შორის სოციალური დაცვის პროგრამებისათვის - **904.8 ათ. ლარი.**

კერძოდ:

1.მრავალშვილიანი ოჯახების ყოველთვიური დახმარებისათვის გამოიყო- 245.5 ათ.ლარი 291 ბენეფიციარზე გაიხარჯა - 207. 3 ათ. ლარი.

2. განსაკუთრებული საჭიროების მქონე ავადმყოფთა და დიალიზის პროგრამაში მონაწილეთა ტრანსპორტირებაში - 54.0 ათ ლარი , 25 ბენეფიციარზე გაიხარჯა - 48. 2 ათ.ლარი.

3. მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, ამავე ომის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილეთა დახმარება - 14,5 ათ ლარი, 26 ომის მონაწილეზე გაიხარჯა - 7.8 ათ. ლარი.

4. სარიტუალო მომსახურება - 56.0 ათ ლარი. - 134 ბენეფიციარზე გაიხარჯა - 36. 5 ათ. ლარი.

5. ახალშობილთა ოჯახების დახმარება - 28.0 ათ. ლარი. - 172 ბენეფიციარზე გაიხარჯა - 17.2 ათ. ლარი.

6. საქალაქო ავტობუსების სუბსიდირების ხარჯები- 80.0 ათ ლარი, გაიხარჯა - 80.0 ათ. ლარი.

7. მარტოხელა დედათა დახმარება - 66.0 ათ ლარი, 110 ბენეფიციარზე გაიხარჯა - 60.8 ათ. ლარი.

8. 2008 წლის აგვისტოს მოვლენების დროს რუსეთის აგრესიის შედეგად დაღუპულთა ოჯახებისა და დაჭრილ მოქალაქეთა დახმარება - 13 ბენეფიციარზე გაიხარჯა - 15.7 ათ. ლარი.

9. ხუთი და მეტშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა - 40.0 ათ ლარი. 20 ბენეფიციარზე გაიხარჯა - 40.0 ათ. ლარი.

10. უსინათლოებისა და ყრუ-მუნჯთა მატერიალური დახმარება კომუნალური გადასახადების დასაფინანსებლად- 41.6 ათ. ლარი, 75 ბენეფიციარზე გაიხარჯა - 41.6 ათ. ლარი.

11. სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებული დახმარებები - 52.6 ათ. ლარი 396 ბენეფიციარზე გაიხარჯა - 40.7 ათ. ლარი.

12. უსინათლოების მატერიალური დახმარება წნევის გამზომი აპარატის შესაძენად თანხით - 1.1 ათ.ლარით. 3 ბენეფიციარზე გაიხარჯა - 0.5 ათ. ლარი.

13. შშმ ბავშვთა დღის ცენტრის დახმარება კომუნალური გადასახადების დასაფინანსებლად - 6.0 ათ. ლარი გაიხარჯა - 3,1 ათ. ლარი.

14. ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებები - 2.0 ათ ლარი. 1 - ბენეფიციარზე გახარჯულია 0.2 ათ. ლარი.

15. სტუდენტთა ფინანსური მხარდაჭერა - 10.0 ათ. ლარი.

16. ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების პერიოდში მოსახლეობის საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფის პროგრამაზე ბიუჯეტიდან გამოიყო 80,0ათ ლარი, გაიხარჯა 80.0 ათ.ლარი.

17. .შშს ფოთი სატრანსპორტო სუბსიდირება -100.0 ათლარი- გაიხარჯა -0

1.მრავალშვილიანი ოჯახების ყოველთვიური მატერიალური დახმარების პროგრამა ითვალისწინებს ქალაქში დემოგრაფიული სიტუაციის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, რომლებიც ზრდიან 3 და მეტ არასრულწლოვან მოზარდს. (უფროსი შვილის 17 წლის ასაკის შესრულებამდე.).

2020 წლის ქალაქის ბიუჯეტიდან გაიხარჯა 245.5 ათ ლარი. აღნიშნული თანხა გადანაწილებულია მრავალშვილიანთა ოჯახებზე შემდეგნაირად:

247 - 3 შვილიან ოჯახზე - ყოველთვიურად - 50 ლარი;

25 - 4 შვილიან ოჯახზე - ყოველთვიურად - 100 ლარი;

11 - 5 შვილიან ოჯახზე - ყოველთვიურად - 190 ლარი;

7 - 6 შვილიან ოჯახზე - ყოველთვიურად - 220 ლარი;

1 - 7 შვილიან ოჯახზე - ყოველთვიურად - 300 ლარი;

სულ - 291 ოჯახი.

2. ახალშობილთა მატერიალური დახმარების პროგრამა ითვალისწინებს ახალგაზრდა ოჯახების წახალისებას შვილების რაოდენობის გაზრდის მიზნით. 2020 წელს ბიუჯეტით გამოიყო 28.0 ათ. ლარი, 172 ბენეფიციარზე გაიხარჯა - 17.2 ათ.ლარი.

3. მარტოხელა მშობლების ყოველთვიური მატერიალური დახმარების პროგრამა. სოციალური გამოკითხვები ცხადყოფენ, რომ მარტოხელა მშობლების დიდი ნაწილი იმყოფება მძიმე სოციალურ–ეკონომიკურ პირობებში, რომლებიც უმუშევრობისა და შემოსავლების უქონლობის გამო ვერ აგვარებენ ბავშვებთან დაკავშირებულ პრობლემებს. 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოიყო 66.0 ათ ლარი - 110 ბენეფიციარზე გაიხარჯა 60.8 ათ ლარი.

4. სადღესასწაულო დღეების დახმარების პროგრამა მოიცავს გარკვეული კატეგორიის ოჯახების მატერიალურ დახმარება-წახალისებას ტრადიციულ დღესასწაულებთან, ღირსშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებით. აღნიშნული პროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენენ: ქალაქის წინაშე განსაკუთრებული დამსახურების მქონე მოქალაქეები, დედით, მამითა და დედ–მამით ობოლები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 17 წლამდე ასაკის მოზარდები, 90 წლისა და ზემოთ ასაკის - პენსიონერი, 1989 წლის 9 აპრილის მოვლენების 1 მონაწილე. 2020 წლის

ადგილობრივი ბიუჯეტით გამოიყოა 52.6 ათ. ლარი. დაკმაყოფილებულია 396 მოქალაქე თანხით - 40.7 ათ. ლარი.

5. დიალიზზე მყოფ ავადმყოფთა ტრანსპორტირების პროგრამა ამოქმედდა 2014 წლიდან (რომელიც გასულ წლებში არ მოქმედებდა). თირკმლის უკმარისობით დაავადებული ავადმყოფები ჰემოდიალიზის პროცედურების ჩასატარებლად მიემგზავრებიან კვირაში სამჯერ ქალაქ ბათუმში, ქუთაისსა და ზუგდიდში, ქალაქში სამედიცინო მატერიალურ–ტექნიკური ბაზის არ არსებობის გამო. ამ მიზნით მგზავრობის ხარჯები მძიმე ტვირთად აწევს ავადმყოფთა ოჯახებს, (თითოეულ ავადმყოფს თვეში 150 ლარი). 2020 წელს ადგილობრივი ბიუჯეტით გამოიყო 54.0 ათ. ლარი. 25 ბენეფიციარზე გაიხარჯა 48.2 ათ ლარი.

6. უსინათლოებისა და ყრუ-მუნჯთა მატერიალური დახმარება კომუნალური გადასახადების დასაფინანსებლად 50 ლარის ოდენობით. 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოიყო - 41.6 ათ.ლარი. 75 ბენეფიციარზე გაიხარჯა- 41.6 ათ.ლარი.

7. კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების პროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი პიროვნების გარდაცვალების შემთხვევაში სარიტუალო წესების მოგვარებას, რაც გამოიხატება გარდაცვლილისათვის ჩასასვენებელი სასახლის დამზადებაში. ხოლო ,,სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავსაყოფად“ კანონის შესაბამისად გარდაცვლილის ოჯახისათვის გათვალისწინებულია მატერიალური დახმარება 300 ლარის ოდენობით. ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებულია 56.0 ათ ლარი. 134 შემთხვევა, თანხით - 36.5 ათ.ლარი.

8. 2008 წლის 8 აგვისტოს რუსეთის აგრესიის შედეგად დაღუპულთა ოჯახების მატერიალური დახმარების პროგრამა ითვალისწინებს ომში დაღუპულთა ოჯახებისათვის მორალურ და მატერიალურ მხარდაჭერას. ამ მიზნით ადგილობრივ ბიუჯეტში გამოიყო 16.0 ათ. ლარი. გაიხარჯა-15,7 ათ.ლარი.

9. მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, ამავე ომის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილეთა დახმარების პროგრამა ითვალისწინებს ფაშიზმზე გამარჯვების (9 მაისი) აღსანიშნავად ერთჯერადად მატერიალურ დახმარებას წახალისების მიზნით. ადგილობრივი ბიუჯეტით გამოიყოა - 14,5 ათ. ლარი. 26 - ბენეფიციარზე გაიხარჯა - 7.8 ათ. ლარი

10. 5 და მეტშვილიანი ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა ამოქმედდა 2014 წლიდან, რომელიც ითვალისწინებს წელიწადში ერთხელ ხუთი და მეტშვილიანი ოჯახების (17 წლამდე ასაკის მოზარდები) 2000 ლარით დახმარებას. 20 - ბენეფიციარზე გაიხარჯა - 40.0 ათ. ლარი.

11. საქალაქო ავტობუსების სუბსიდირების პროგრამა მიმდინარე წლის ბიუჯეტით დაფინანსდა 80.0 ათ.ლარით. (ემსახურებოდა 4 ავტობუსი)

ქალაქის სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის იაფი ტრანსპორტით მომსახურება. იგი სხვა სატრანსპორტო საშუალებებთან შედარებით იაფია და ნებისმიერ ადამიანს შეეძლება აღნიშნული ავტობუსით მგზავრობა. ტრანსპორტით მომსახურეობის ხარჯები შეადგენს - 80.0 ათ ლარს.

12. უსინათლოების მატერიალური დახმარება წნევის გამზომი აპარატის შესაძენად. 2020 წლის ბიუჯეტში გამოიყო -1.1 ათ.ლარი. დაკმაყოფილდა - 3 ბენეფიციარი თანხით - 0,5 ათ. ლარი.

13. ა(ა)იპ ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური მომსახურების ცენტრი"-ს ხელშეწყობა. ბიუჯეტიდან გამოიყო 828,4 ათ.ლარი. პროგრამის მიზანია მოქალაქეთა მომსახურების სერვისის გაუმჯობესება, აქტიური სოციალური პოლიტიკის გატარება, სოციალური დახმარების მწყობრი სისტემის ჩამოყალიბების, მოსახლეობის სამართლიანი და ეფექტური დახმარების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით წინადადებისა და ინფორმაციის მომზადება. შინმოვლის სერვისისა და უფასო კვებით უზრუნველყოფის მომსახურების ხარჯები შეადგენს უფასო კვების სასადილო-262,6 ათ.ლარი, 350-ბენეფიციარზე, შინმოვლა 14,2 ათ.ლარი- 25 ბენეფიციარზე.

14.შპს ფოთი სატრანსპორტო სუბსიდირება -100.0 ათლარი

2021 წელს სოციალური უზრუნველყოფის სხვადასხვა პროგრამების განსახორციელებლად ადგილობრივ ბიუჯეტში გამოყოფილია **2560.6 ათ ლარი** მათ შორის სოციალური დაცვის პროგრამებისათვის - **950.6 ათ. ლარი.**

კერძოდ:

1.მრავალშვილიანი ოჯახების ყოველთვიური დახმარებისათვის გამოყოფილია - 247.0 ათ., იანვრის თვიდან ივნისის ჩათვლით 295 ბენეფიციარზე გახარჯულია - 108.8. ათ. ლარი.

2. განსაკუთრებული საჭიროების მქონე ავადმყოფთა და დიალიზის პროგრამაში მონაწილეთა ტრანსპორტირება 55.0 ათ ლარი , იანვრის თვიდან ივნისის თვის ჩათვლით 26 ბენეფიციარზე გახარჯულია - 20.4 ათ.ლარი.

3. მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, ამავე ომის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილეთა დახმარება - 9,5 ათ ლარი, იანვრის თვიდან ივნისის ჩათვლით 22 ომის მონაწილეზე გახარჯულია - 6.6 ათ. ლარი.

4. სარიტუალო მომსახურება - 50.0 ათ ლარი. – 44 ბენეფიციარზე იანვრის თვიდან ივნისის თვის ჩათვლით გახარჯულია - 12. 5 ათ. ლარი.

5. ახალშობილთა ოჯახების დახმარება - 28.0 ათ. ლარი. - იანვრის თვიდან ივნისის თვის ჩათვლით 60 ბენეფიციარზე გახარჯულია - 6,0 ათ. ლარი.

6. ფოთის სატრანსპორტო კომპანიის სუბსიდირების ხარჯები - 780.0 ათ ლარი, იანვრის თვიდან მაისის თვის ჩათვლით გახარჯულია - 151,3 ათ. ლარი. საქმიანობას ანხორციელებს შპს ,,ფოთის სატრანსპორტო კომპანია".

7. მარტოხელა მშობელთა დახმარება - 67.0 ათ ლარი, იანვრის თვიდან ივნისის თვის ჩათვლით 101 ბენეფიციარზე გახარჯულია - 27.4 ათ. ლარი.

8. 2008 წლის აგვისტოს მოვლენების დროს რუსეთის აგრესიის შედეგად დაღუპულთა ოჯახებისა და დაჭრილ მოქალაქეთა დახმარება -16,0 ათ.ლარი. იანვრის თვიდან ივნისისჩათვლით გახარჯულია - 4,8 ათ. ლარი.

9. ხუთი და მეტშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა - 40.0 ათ ლარი. იანვრის თვიდან ივნისის თვის ჩათვლით 20 ბენეფიციარზე გახარჯულია - 40.0 ათ. ლარი.

10. უსინათლოებისა და ყრუ-მუნჯთა მატერიალური დახმარება კომუნალური გადასახადების დასაფინანსებლად- 43.0 ათ. ლარი, იანვრის თვიდან ივნისის თვის ჩათვლით 59 ბენეფიციარზე გახარჯულია - 16.1 ათ. ლარი.

11. სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებული დახმარებები - 55.0 ათ. ლარი. იანვრის თვიდან ივნისის თვის ჩათვლით 246 ბენეფიციარზე გახარჯულია - 24,6. ათ. ლარი.

12. უსინათლოების მატერიალური დახმარება წნევის გამზომი აპარატის შესაძენად თანხით - 2.0 ათ.ლარით.

13. შშმ ბავშვთა დღის ცენტრის დახმარება კომუნალური გადასახადების დასაფინანსებლად - 6.1 ათ. ლარი იანვრის თვიდან ივნისის თვის ჩათვლით გახარჯულია - 1,4 ათ. ლარი.

14. ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებები - 3.0 ათ ლარი.

15. სტუდენტთა ფინანსური მხარდაჭერა - 10.0 ათ. ლარი. იანვრის თვიდან ივნისის თვის ჩათვლით 1 სტუდენტზე გახარჯულია 0,5 ათ,ლარი.

16. ახალი კორონა ვირუსით (covid-19) პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების პერიოდში - 40,0 ათ.ლარი. გახარჯულია- 34,9 ათ.ლარი.

17. განსაკუთრებით მძიმე საცხოვრებელ პირობებში, ასევე უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარება. დასაფინანსებლად 50.0 ათ.ლარი. იანვრის თვიდან ივნისის თვის ჩათვლით 2-ბენეფიციარზე გახარჯულია 2,0 ათ.ლარი.

18. თავშესაფრის გარეშე დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის ქირით უზრუნველყოფის პროგრამა.დასაფინანსებლად 30,0 ათ,ლარი. იანვრის თვიდან ივნისის თვის ჩათვლით 4 ბენეფიციარზე გახარჯულია 3.0 ათ. ლარი

19. გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პროგრამა. დასაფინანსებლად 5.0 ათ.ლარი.

20. მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში მარტოდ მცხოვრები (მარტოხელა), სოციალურად დაუცველი, პენსიონერი მოქალაქეებისათვის გაზიფიცირების ხელშეწყობის პროგრამა. დასაფინანსებლად - 9,0 ათ,ლარი. იანვრის თვიდან ივნისის თვის ჩათვლით 1 ბენეფიციარზე გახარჯულია 0.6 ლარი.

21.შეჭირვებული ოჯახების შეშით უზრუნველყოფის პროგრამა. დასაფინანსებლად 40,0 ათ, ლარი იანვრის თვიდან ივნისის თვის ჩათვლით 121 ბენეფიციარზე გახარჯულია 24,2 ათ ლარი.

22. საქმიანობათა ცენტრი ფოთში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის ბიუჯეტიდან გამოიყო 30.0 ათ.ლარი.

23. სოციალური მომსახურების ცენტრის ხელშწყობა, დასაფინანსებლად ბიუჯეტიდან გამოიყო 830,0 ათ ლარი. სასადილოში იკვებება 350 ბენეფიციარი, 136,177 ათ.ლარი გაიხარჯა, შინმოვლა - 25 ბენეფიციარი - გახარჯულია- 6,75 ათ.. ლარი.

დევნილთა განყოფილება

ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის ჯანრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დევნილთა განყოფილება ემსახურება დევნილთა პრობლემების მოგვარებას. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების პირობებში განაგრძობს მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებსა და შეღავათებზე მუშაობას. დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფაში დახმარების გაწევას;

განსახლების ადგილებში იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა დახმარებას და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებასა და დახმარებას თვითდასაქმება/დასაქმებაში;

ახორციელებს მუშაობას იმ ორგანიზაციებთან, რომლებიც ზრუნავენ დევნილებზე გრანტებითა და სხვა სახით დაფინანსება/დახმარებას.

დევნილთა საცხოვრებელი სახლებით და შესყიდვის პროგრამით უზრუნველყოფაში დახმარების გაწევას;

დოკუმენტაციის მომზადებას და იმ სახის დახმარების გაწევას, რაც მოიცავს მოქალაქისთვის სრულ ინფორმირებას მიმდინარე თუ მოსალოდნელ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

მათი ინტერესების დაცვას სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურებთან და დახმარებების გაწევა.

მოქალაქეებისთვის იმ ინფორმაციის მიწოდებას, რაც დევნილთა პრობლემების აღმოფხვრასა და ინფორმირებას უწყობს ხელს, რომელიც ინდივიდუალურად შეიძლება აწუხებდეს მოქალაქეებს; მაგალითად:

მოქალაქის ფულადი შემწეობის დარიცხვა/არ დარიცხვა, შეჩერება, მიზეზების გარკვევა და დახმარების გაწევა:

შუამდგომლობის გაწევა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამის სამსახურებთან, დაკანონების,დასაქმების,გადმომისამართებისა თუ სხვა სახის დახმარებების გაწევა.

მოწყვლადი ჯგუფების ინტეგრაციის ხელშეწყობა გაძლიერება, იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა დახმარება და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაში თანამონაწილეობა იმ ჩასახლებებში, სადაც დევნილები უკვე ინტეგრირებულები არიან, თუმცა გააჩნიათ სხვა სახის პრობლემები, მაგალითად: გაზიფიცირება, კანალიზაციის, განათების, ბავშვთა გასართობი სივრცის და სხვა სახის პრობლემები.

2020 წელს სახლის შესყიდვის ფარგლებში დაკმაყოფილდა 75 დევნილი ოჯახი, ასევე ფართი დაუკანონდა 80-მდე ოჯახს. 2021 წლის მაისის თვის ჩათვლით სახლის შესყიდვის ფარგლებში დაკმაყოფილდა 45 დევნილი ოჯახი, ხოლო ფართი დაუკანონდა 20-მდე ოჯახს. ივნისის თვეში მოსალოდნელია 30 - მდე დევნილი ოჯახისათვის საცხოვრებელი ფართის დაკანონება, ხოლო შესყიდვა მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში.

გრანტების ფარგლებში დევნილთა დასახლებაში მოეწყო სათამაშო სივრცე და გაჩერებები, ასევე 10-მდე დევნილზე გაიცა გრანტები, რომელსაც ახორციელებდა ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე ფონდი ,,აფხაზეთი“, რომლებთან ერთად ორ დასახლებაში მუნიციპალიტეტის ხელშეწყობით მოეწყო ორი სასკოლო ოთახი, რომელიც აღიჭურვა კომპიუტერებით, ასევე პანდემიის პერიოდში ოთხ დასახლებაში სისტემატიურად მიმდინარეობდა ყველა პრევენციული სამუშაოები და რიგდებოდა პერიოდულად საჭირო ინვენტარი.

ა(ა)იპ თვითმმართველი ქალაქის - ფოთის ბავშვთა ცენტრი (06 03 03 01)

პროგრამის ფარგლებში მშობელთა მზრუნველობას მოკლებული 10 მოზარდი ცხოვრობს საოჯახო ტიპის თავშესაფარში, სადაც ისინი უზრუნველყოფილები არიან კვებით, ბავშვთა დასვენება - გაჯანსაღებით.

2020 წლის ბიუჯეტით გამოყოფილი იყო 111,5 ათ.ლარი, ფაქტობრივი შესრულება 110,7ათ.ლარი.

2021 წლის ბიუჯეტით გამოყოფილია 115,0 ათ ლარი, ფაქტობრივად შესრულდა 5 თვეში 46,5 ათ.ლარი.პროგრამას ახორციელებს: ა(ა)იპ თვითმმართველი ქალაქის - ფოთის ბავშვთა ცენტრი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის რეგიონალური მართვის დეპარტამენტის წარმომადგენლის დახმარებით ქალაქ ფოთში რეგისტრირებულ ვეტერანებს 2020 წლის 17 ივლისიდან 46 ვეტერანს მედიკამენტები დაუფინანსდათ 15751 ლარის ოდენობით, ხოლო 2021 წლის 01 იანვრიდან 10 ივნისის ჩათვლით 66 ვეტერანს მედიკამენტები დაუფინანსდათ 22088 ლარით.

გამოწვევები და მიზნები

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მუშაობა ორიენტირებულია მოსახლეობის საჭიროებებზე ორიენტრიებული პროგრამების შემუშავებაზე.

მოსახლეობის საჭიროებები მრავალფეროვანი და ცვალებადია, რაც არაერთი გამოწვევის წინაშე აყენებს სამსახურს.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სოლიდური წილი იხარჯება ჯანდაცვისა და სოციალურ პროგრამებზე (საკუთარი შემოსავლების 11%-ზე მეტი), რაც აისახა პროგრამათა რაოდენობის მატებაზე, თუმცა არსებობს პრობლემური საკითხები და საინტერესო ინიციატივები, რომელთა გადაწყვეტის შემთხვევაში უფრო მეტ დადებით ეფექტს მივიღებთ.

1. პროგრამათა მართვის კომპონენტების დახვეწა მუდმივი პროცესია, რომელიც სამსახურის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა. დღეს არსებული პროგრამებიდან რამოდენიმე პროგრამა კვლავ საჭიროებს მართვის კომპონენტის რევიზიას, რათა უპასუხოს ახალ რეალობას, რა თქმა უნდა ეს უნდა მოხდეს მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად.

2. სამსახურის დებულება დაიხვეწა - სამსახურს, კერძოდ სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილებას დაემატა სოციალური მუშაკი, რომელიც ამჟამად გადის სწავლება-ტრენინგს.

3. მოხუცთა თავშესაფარი - ქალაქის წინაშე მოხუცთა სახლის აუცილებლობაა. ათეულობით მოხუცი ცხოვრობს მარტო, რომელთაც უჭირთ თავის მოვლა, უმძიმთ რთულ ყოფაში ცხოვრება. ეს განსაკუთრებით ,,შინ მოვლის'' პროგრამის შემდეგ გამოიკვეთა, როდესაც გამოვლინდა უამრავი მარტოხელა მოხუცი.

4. დასაქმება - ერთერთი უმთავრესი პრობლემაა. აუცილებელია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ ფორუმების მოწყობა ბიზნესს სექტორთან ერთად, სადაც წარმოჩინდება დასაქმების წყაროები და შესაბამისი ვაკანსიები პროფესიების მიხედვით.

5. თავშესაფრისა და კრიზისული ცენტრის შექმნა - დღეს მეტად აქტუალურია გენდერულ თემაზე მუშაობა, ტაბუ ედო ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემას, მაგრამ შედეგი ნელ-ნელა მიიწევდა წინ: მეტი შეურიგებლობა მოძალადის მიმართ, მეტი ტოლერანტობა საზოგადოების მხრიდან მსხვერპლის მიმართ, კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ 2006 წელს, ცვლილებები კანონში, მათ შორის ერთ-ერთი - ბოლო ხანებში: კანონს დაემატა თავი - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მონაწილეობა ოჯახში ძალადობის პრევენციასა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სფეროში. ამასთანავე - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსს" დაემატა ნორმა, რომლის მიხედვით განისაზღვრება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების (მუნიციპალიტეტის) უფლებამოსილება, მონაწილეობა მიიღოს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ გასატარებელ ღონისძიებებში. ოჯახში ძალადობის პრევენციისა და მსხვერპლთა დაცვის მიზნით

აუცილებელია კრიზისული ცენტრის შექმნა. რაც შეეხება თავშესაფარს დღითიდღე მატულობს უსახლკაროთა რიცხვი, რომელთაც არ გააჩნიათ საცხოვრებელი. ეს კი დიდ პრობლემად აწვება ქალაქს. აუცილებელია, არა მხოლოდ ბაზის, არამედ სამომავლოდ იმაზე ფიქრი, თუ რა ღონისძიებები გავატაროთ ადამიანური პირობების შესაქმნელად და მათი უფლებების დასაცავად.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის

სამსახურის უფროსი მაია მაკალათია